

ქართველი და უცხოელი სტუდენტების სოცი-კულტურული განწყობები და სტერეოტიპები თიკო ჯინჭარაძე, გუგა ჯუღელი, მაია ჯამბაზიშვილი, მარი ჯაიანი / Toko Jincharadze, Guga Jugeli, Maia Jambazishvili, Mari Jaiani

აღნიშნული კვლევის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სიღრმისეული შესწავლა ერთი მხრივ, იმის, თუ როგორ აღიქვამენ უცხოელი სტუდენტები ქართულ სოციო-კულტურულ გარემოს, როგორ მიმდინარეობს ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში მათი ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესი. ხოლო, მეორე მხრივ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ქართველ სტუდენტებს უცხოელ სტუდენტებისადმი და რა ხდება მათთვის კულტურული შოკის გამომწვევი ძირითადი მიზეზები;

კვლევის საწყის ეტაპზე წინასწარი სამუშაო ჰიპოთეზები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- უცხოელი სტუდენტებს, გრძობენ რა თავს საკმაოდ “უცხოდ” ქართულ სოციუმში, ვერ ახერხებენ მასში ინტეგრაცია;
- ქართველი სტუდენტების გარკვეული ნაწილი სტერეოტიპულად აღიქვამს უცხოელ სტუდენტებს;

კვლევის აქტუალურობა და რელევანტურობა გამომდინარეობს იქიდან, რომ უცხოელი სტუდენტების რიცხვი დღითიდღე იზრდება საქართველოში, ასევე იზრდება პირდაპირი/არაპირდაპირი ურთიერთობები, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია - კვლევების სიმწირე, არარსებობა. მულტიკულტურალიზმი კიდევ ერთელ ცხადყოფს ჩვენი კვლევის აქტუალურობას რადგან, მულტიკულტურალიზთან დაკავშირებული პრობლემებიცაა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრისა და ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სფეროა, XX საუკუნეში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენულია, ანუ „მულტიკულტურულია“. და ბოლოს ქსენოფობიის განცდა უცხო კულტურაში. რომელიც ორივე მხარისთვის საკმაოდ სენსიტიური საკითხია, როგორც მასპინძელი კულტურა და საზოგადოება განიცდის გარკვეულ საფრთხეებს უცხო კულტურასთან ურთიერთობისას, ისე უცხო კულტურის წარმომადგენლებიც გრძობენ თავს საფრთხეში, რადგან მათი კულტურა და ტრადიციები დისბალანსს განიცდის სხვა კულტურულ-სოციალურ გარემოში.

კვლევის აქტუალურობაზე საუბრისას, ჩვენ დავეყრდენით სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩვენი კვლევის აქტუალურობას:

- 2009 წელს 832 უცხოელი სტუდენტი სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტებში;
- 644 უცხოელი სტუდენტი მხოლოდ თსუ-ში;
- 27 ქვეყნიდან ჩამოსული 1000-ზე მეტი ჩამოსული სტუდენტი (2011წელი); (www.polity.ge)

არსებული კვლევა კომპლექსურია, რადგან გვანტერესობდა როგორი დამოკიდებულება და ურთიერთობა აქვთ ქართველ და უცხოელ სტუდენტებს ერთმანეთთან, ამიტომ გადავწყვიტეთ კვლევა შედარებითი ხასიათის ყოფილიყო, სადაც შესაძლებელი გახდებოდა კორელაციების დანახვა. მხოლოდ ერთი მხარიდან დანახული რეალობა და აღქმა ვერ ჩაითვლებოდა ვალიდურად და რელევანტურად. კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდით, ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებთან, ასევე ჩარატდა ფოკუს ჯგუფი ქართველ სტუდენტებთან, სადაც გამოვიყენეთ პროექციული ტექნიკებიდან ერთ-ერთი - „დრუმლიანი ნახატები“, კვლევის ინსტრუმენტად ასევე გამოვიყენეთ არასტრუქტურირებული კითხვარი. რესპოდენტები სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები იყო, რომლებსაც მინიმუმ 6 თვე აქვთ საქართველოში გატარებული, რადგან ამ დროის განმავლობაში ყველა იმ ეტაპს განიცდიან, რასაც კულტურული შოკი ჰქვია და უცხო სოციალურ-გარემოში მოხვედრილი ადამიანი განიცდის.

გადავიდეთ უშუალოდ მიღებული შედეგების განხილვაზე:

რატომ გააკეთეთ არჩევანი საქართველოზე?

ლოგიკურია, ეს ის კითხვაა, რომელიც თავიდანვე გაუჩნდებოდა სოციოლოგს, და არა მარტო სოციოლოგს, რიგით საზოგადოების წევრს, რიგით სტუდენტს. საინტერესოა რატომ გააკეთეს არჩევანი უცხოელმა სტუდენტებმა, რომლებიც ასე აქტიურად სტუმრობენ საქართველოს განათლების მიღების სურვილით. პირველ რიგში თურქი სტუდენტები ტერიტორიულ სიახლოვეს, მეზობლობას ასახელებენ, შემდეგ ახალი კულტურის, ტრადიციების შეცნობის სურვილის, რომლებიც გაუცნობიერებლად ჩნდება მათში, ვერ ხსნიან და ვერ ასაბუთებენ, რა შეიძლება იყოს ახალი კულტურა, ახლი ტრადიცია, უბრალოდ ხვდებიან რომ უცხო ქვეყანაში სწავლას აუცილებლად მოყვება ახალი კულტურის საქართველოზე არჩევნის გაკეთებისას პრიორიტეტი ენიჭება სასწავლო პირობების ხელშემწყობ ფაქტორებს:

- „კარგი უნივერსიტეტი (სამედიცინო უნივერსიტეტი)“
- „დაბალი ფასი“
- „დაბალი გამსვლელი ბარიერი“

საინტერესოა, რომ სტუდენტებს არანაირი მოსაზრება არ ჰქონდათ საქართველოზე, გამოკითხულთა უმრავლესობა ასახელებს, რომ „არანაირი ინფორმაცია და აზრი“ არ ჰქონდათ „სტერეოტიპული აზროვნებისგან თავისუფალი, ქართულ კულტურაზე არანაირი აზრი არ მქონდა, აქ შევხვდი მარტო“ (ამელი 21 წლის, გერმანიიდან)

უცხოელი სტუდენტებისგან განსხვავებით, ქართველი სტუდენტები სტერეოტიპულ ჩარჩოებში მოქცეულნი არიან, მათ ზუსტად ციან, რომ ისინი (უცხოელი სტუდენტები) ვერ შეითვისებენ ჩვენს კულტურას, ზუსტად იციან რომელი ქვეყნის წარმომადგენელს როგორი აზროვნება, გრძნობების გამოხატვის უანრები გააჩნიათ რამდენად თბილები ან ცივები არიან ურთიერთობაში: „უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა ჩვენ კულტურას ვერ შეითვისებს, ისინი ძალიან განსხვავებულები არიან ჩვენგან“ (გიორგი 19 წლის საქართველოდან)


რაც შეეხება უცხოელი სტუდენტების განწყობებს ქართული სოციუმის მიმართ, უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ქართველები თბილი, სტუმართმოყვარე და კეთილი ხალხია:

- „კეთილი“ (თორაი 23 წლი თურქეთიდან)
- „თბილი“ (მიკაელი 22 წლის გერმანიიდან)
- „სტუმართმოყვარე“ (ნაზინი 22 წლის ინდოეთიდან) (არარგუმენტირებული დახასიათება)

სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე საუბრისას უცხოელი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საქართველო თურქეთთან შედარებით ღარიბი ქვეყანაა, ქუჩაში ბევრი მათხოვარი ხვდებათ, უინტერესო ცხოვრებაკი კიდევ უფრო ართულებს მათ ინტეგრირებულობას და ჩართულობას ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში. აესვე საუბრობენ პოლიტიკისადმი სენსიტიურ დამოკიდებულებაზე. რესპონდენტების აზრით, საქართველოში დიდიც და პატარაც პოლიტიკით ცხოვრობს:

- „სიღარიბე“ (ისმაილი 22 წლის თურქეთიდან)
- „ბევრი მათხოვარი ქუჩაში“ (ამელი 21 წლის გერმანიიდან)
- „უინტერესო ცხოვრება“ (თორაი თურქეთიდან)
- „პოლიტიკით ცხოვრობს სტუდენტიც და უფროსი თაობაც“ (მიკაელი 22 წლის გერმანიიდან)

როცა ქართველ სტუდენტებს ამ კითხვით მივმართეთ „როგორ აღიქვამენ ქართველი სტუდენტები უცხოელ სტუდენტებს? პირადად თქვენ როგორ აღიქვამთ?“ რესპონდენტების გადასახედიდან ქართველი სტუდენტები და საზოგადოება მანც ნეგატიურად აღიქვამს უცხოელ სტუდენტებს, თუმცა სტუდენტობა უფრო დადებითად აღიქვამს, ვიდრე საზოგადოების შუა ხნის ფენის წარმომადგენლები. შუ ხნის ადამიანების აგრესიას ორივე მხარე თანაბრად ასახელებს. როგორც ერთ-ერთმა თურქმა სტუდენტმა აღნიშნა, ოხუცმა მხოლოდ იმიტომ უყვირა ავტობუსში, რომ ქართულად არ საუბრობდა.



პროექციული მეთოდი - „ღრუბლიანი ნახატები“ რომელიც ფოკუს ჯგუფში გამოვიყენეთ, საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა, კიდევ ერთხელ გადამოწმდა - როგორ აღიქვამს ქართული საზოგადოება და სტუდენტები უცხოელ სტუდენტებს. ქართული რეალობა ავტობუსში: ბევრი პირობითად თეთრკანიანი ადამიანი რომელიც ქართული საზოგადოებაა და შენ ამ საზოგადოების ნაწილი - ქართველი სტუდენტი და ერთადერთი ფერადკანიანი სტუდენტი. როგორ ფიქრობს საზოგადოება მასზე, რას ფიქრობ შენ და რას ფიქრობს ფერადკანიანი სტუდენტი. რეალობა ნამდვილად აისახა, სტუდენტებმა ღრუბლებში ჩაწერეს თავინთი მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად **საზოგადოების ნეგატიურ ხედვას** ასახავდა :

- „ფუ ეს ტარაკანა“
- „ზანგი“
- „წათორის საიდანაც ჩამოეთრია“
- „სხვაგან ვერ ამოხვედი?“
- „ავიმე, რა შავია“
- „ფუუ ყარს“
- „შემომავალი ეკონომიკა“
- „ზანგო მომეცი, ზანგო“
- „აი კიდევ ერთი უცხოელი“
- „რამდენი არიან“
- „საიდან ცამოეთრია, რა უნდა აქ, აეთორის“

სუბიექტური

- „რა უნდათ? რას ერჩიან?“
- „ეტყობა ისე ჭირს შენს ქვეყანაში, აქ ჩამოხვედი“
- „ნეტავ გვერდით მდგომი ფერადკანიანი ჩვენზე რას ფიქრობს?“
- „შემომავალი ეკონომიკა“
- „ვა ზდაროვა ბრატ“
- „fuck რასიზმი“

„უცხოელი ფერადკანიანის აღქმა“

- „რას მერჩიან?“
- „I believe I canfly“
- „ეკ რას ვიზამ, იმედია საქართველოში სიტუაცია მალე შეიცვლება“

- „ნეტა რას ფიქორბენ“
- „რატომ მიყურებენ ასე“
- „მესმის იდიოტებო“
- „რა მინდოდა აქ“
- „სად ჩამოვდიი?! L“

საინტერესოა ქართველი სტუდენტების ასოციაციები უცხოელ სტუდენტებზე, რომლებიც ძირითადად დავყავით სტერეოტიპულ, სუბიექტურ და ობიექტურ ასოციაციებად:

სტერეოტიპული:

- „ინდოელი რომელიც სამედიცინოში სწავლობს“ (გიორგი)
- ზანგი
- ასოცირდები ან ინდოელ სტუდენტებთან
- „ფუ ეგ ზუნზლიანები“ მუსულმანები, ნიგერიელები და ინდოელები
- თავისუფალი ხალხია
- გარიყული, დაბნეული, შეშინებული ახალ კულტურაში(საზოგადოებაში)
- გაუცნობიერებულობა და გაუცხოება

სუბიექტური:

- „რადაც ახალს იწვევს თავიდანვე“
- “არანაირი აზრი ისიც ისეთივე ადამიანი, როგორც მე”
- პოზიტიური დამოკიდებულება

ობიექტური:

- უწყობენ ხელს სოციალურ-ეკონომიკური დონის განვითარებას
- ტურიზმის განვითარება

როგორ აღიქვამენ ქართველი სტუდენტები უცხოელ სტუდენტებს?

აქ გვხვდება ასაკობრივი სხვაობები და ასევე გვაქვს კორელაციები ორივე მხარეს შორის, ქართველები ამბობენ, რომ სტუდენტობა შედარებით დადებითად უნდა იყვნენ განწყობილები, :

სტუდენტობა „შედარებით“ პოზიტიურად არის განწყობილი.

„ჩემთვის არ წარმოადგენს მათი არსებობა პრობლემას, თუ მოსწონთ იცხოვრონ საქართველოში“ (მარიამი 20 წლის)

„საინტერესოა მათთან ურთიერთობა“ (ნინო 21 წლის)

ხოლო უცხოელი სტუდენტები კი ამბობენ რომ შუა ხნისადა მოხუცი ადამიანებისგან მოდის ყველაზე დიდი აგრესია:

„ავტობუსში გვეჩხუბა მოხუცი იმიტომ რომ ქართულად არ ვსაუბრობდით“ (ერგული თურქეთიდან)

საზოგადოების ნეგატიური აღქმა/დამოკიდებულება (ქართველი სტუდენტების)

საზოგადოებაში არის ზიზღი და აგრესია მათ მიმართ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, უფრო მოხუცი და შუა ხნის ადამიანებისგან, სუბიექტურ დამოკიდებულებაში გამოიხატა თანაგრძობა და კონკურენტუნარიანობის გრძობა. ასევე სტერეოტიპულ შეხედულებას ვერ ავუვლით გვერდს, სადაც გამოიკვეთა : „სუნიანები არიან“.

რასისტული

- საზოგადოების 90% პროცენტი იყენებს რასისტულ გამონათქვამებს, იხსენიებენ „ზანგებად , სუნიანებად..“;
- ხშირად მოუსმენიათ გამონათქვამები :„წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში“;

ამგვარი შეხედულებების შემდეგ ალბათ არ იქნება გასაკვირი თუ ვისაუბრებთ სნობიზმზე ქართულ კულტურაში, გამომდინარე იქედან, რომ ორივე მხარის რესპონდენტებისგან გამოიკვეთა კორელაციური პასუხები მათთან ურთიერთობის შესახებ - სტუდენტების უმრავლესობა თვლის, რომ „თეთრებთან“ ანუ ევროპელებთან ურთიერთობა ბევრად პრესტიჟული და სასარგებლოა მათთვის, ვიდრე „შავებთან“, „ზანგებთან“, ანუ აზიელებთან.

რა შეიძლება გახდეს უცხო და უცნაური უცხოელი სტუდენტებისათვის?

ეს კითხვა საშვალეზას იძლევა გავიგოთ თუ რა შეიძლება გახდეს უცხოელი სტუდენტებისათვის უცხო, უცნაური, მიუღებელი და პირიქით. გამოიკვეთა სამი ტიპი ნეგატიური თვალსაზრისებიდა:

ფსიქო-ემოციონალური ტიპები:

- უკვირთადამიანებისხმამალსაუბარიერთმანეთში
- ხასიათი- „ნერვიულებიარინ“ ; აოცებთ ადამიანების ფეთქებადი და ფიცხი ხასიათი , რომელსაც ბევრჯერ შესწრებიან ტრანსპორტში

კულტურულიჩვევები:

- ქუჩაშიგადაფურთხება
- სტუმართმოყვარეობა
- „უყვართალკოჰოლურისასმელები“ ამსაკითხზეგანსაკუთრებითამახვილებენყურადღებას, ძალიანუკვირთქართველებსისასეტისიყვარულისასმელისმიმართ.

რასისტული:

- დამოკიდებულებაკანისფერისადმი

საინტერესო იყო რამდენად დაემთხვეოდა ქართველების მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. ქართველი სტუდენტები შემდეგ ფაქტორებს ასხელებდნენ:

კულტურულიჩვევები:

- „მთვრალიხალხი“ (გიორგი)
- „ყოველდღეგადაკოცნა“ (მარი)
- „კანონებსვერვემორჩილებით“ (კობა)
- „ევროპელებისუფრაზეისვენებენ , ქართველებიმუშაობენ“ (ლამა)

რელიგიური:

- „ეკლესიაშიწირვაზესიარულიშაბათ-კვირას“ (კობა)

რასისტული:

- „დამოკიდებულებაკანისფერისადმი (გიჟებივითუყურებთფერადკანიანებს“ (ეკა)

სნობური:

- „უცხოელებსალიქვამენანზედმეტადშორსან „ელაქუცებიან“ ევროპელებს“. (მარიამი)

უცხოთა და უცნაურის განსაზღვრას მიყვარათ კულტურულ შოკამდე. კულტურული შოკიც ხომ ადამიანისთვის ახალ გარემოში მოხვედრისას იწყება. როცა მისთვის ძალიან ბევრია ახალი , განსხვავებული იმ გარემოსგან რომელშიც ის იზრდებოდა. შსაბამისადსაქართველოში მოხვედრისას უცხოელ სტუდენტებს უწევთ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გაიარონ კულტურული შოკის ფაზები. კულტურული შოკის გამომწვევი შეიძლება გახდეს შემდეგი ფაქტორები:

კულტურულ-ტრადიციული ჩვევები:

- „ლაპარაკს არ ვაცდით ერთმანეთს“
- ჩანს მულობა „უცხოელებს უყვართ ფერადი სამოსი და ჩვენ შავი და ნაცრისფერი
- „უცხოეთში უყვართ ღამით კულბებში საირული, აქ დღისით რესტორნებში ქეიფი“
- ჩამოსულის წაყვანა რესტორანში და აუცილებლად ქართული კერძების დაგემოვნება“
- სუფრა და საჭმელების მაღალკალორიულობა „ევროპელებს გააოცებთ, ისინი ძირითადად დაბალკალორიულ საჭმელებს ჭამენ“
- ქართული სუფრის ძირითადი ელემენტები :თამადა, ყანწი, ალავერდი

გარემო პირობები:

- ტრანსპორტის საშუალებები „არეულობა“, საცობები, ბევრი ხალხი ტრანსპორტში .
- „უბილეთოდ მგზავრობა“- ბილეთს არ იღებს საზოგადოების გარკვეული ნაწილი, როცა ეგრედ წოდებული

კულტურული რიტუალები

- ქორწილი
- ქელები
- პანაშვიდი
- დაკრძალვის ცერემონია -(კრემაცია ინდოეთში)

ფორმალური ურთიერთობების არარსებობა:

- „მოხუცისთვის ადგილის დათმობა“ (ეკა)
- „ნაცნობებზე მგზავრობის საფასურის გადახდა“ (დარინა)

გამოკითხული ევროპელი სტუდენტებისათვის განსაკუთრებით თვალშისაცემი და შოკისმომგვრელი იყო 17 მაისის ჰომოფობიური აქცია. მათთვის წარმოუდგენელი და სრულიად უცხო იყო ის სუტუაცია და დამოკიდებულება განსხვავებული ორიენტაციის მქონე ადამიანებისადმი რაც მათ იხილეს .მათ მიაჩნდათ, რომ:

- „გამოხატვისთვის უფლებება უცილებელია“ (ამელიგერმანიიდან)
- „ტურისტებს და სტუდენტებს დააფრთხობს მსგავსი განდალური აქციები“ (მიკაელი გერმანიიდან)
- „რატომარის საქართველოში რელიგია ყოველთვის მთავარ როლში საზოგადოების ცხოვრებაში?“ (ამელი);

კვლევიდან ჩანს, რომ მნიშვნელოვანი პრობლემა კომინუკაციის მხრივ . ამ საკითხთან დაკავშირებით ორივე მხარე თანხმდება, რომ ინგლისური ყველაზე ხელსაყრელი ენაა. თუმცა ქართველებს მიაჩნიათ, რომ უცხოელმა სტუდენტებმა არ იციან სათანადო დონეზე ენა, და პირიქით. არის აგრეთვე გამოწვევისივ თურქი სტუდენტების შემთხვევაში, რომლებსაც უჭირთ ყველა ენაზე კონტაქტი, გარდა მშობლიურისა.

მნიშვნელოვანი იყო ურთიერთობების ტიპების განსაზღვრაც.

თუროგორი ურთიერთობა აქვს ქართველ სტუდენტებს უცხოელ სტუდენტებთან? ამ შკითხვაზე ძალიან ცოტა პოზიტიური პასუხი დაფიქსირდა, ისიც არაარგუნეტირებული. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება რომ, თუ სტუდენტებს პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, ეს შეიძლება მათი დახმარების სურვილით იყოს აგამოწვეული, ან ინგლისური ენის გაუმჯობესების მიზნით, რაიმე ახლის შეცნობის სურვილით. თუმცა რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს ქართველ სტუდენტებს მათთან, და საინტერესოა რესპოდენტის მიერ მოყვანილი მაგალითი, როგორ შეეცვალა ერთ ქართველ სტუდენტს ინდოელ სტუდენტზე შეხედულება დადებითობისკენ „მე შემიძლია მოვიყვანო მაგალითი, ცოტა შეიძლება პოეტურია, ოღონდ თვით მხილველი მე არ ვყოფილვარ, ავტობუსთან დაკავშირებით გამახსნდა რომ, ინდოელისტუდენტი, ლოტკინის დასახლებაში ცხოვრობენ ჩვენთან და ერთხელ მოდიოდა ავტობუსით და ფუტკარი დარჩა ავტობუსში და ვერ გადის, და აწყდება და ამან დაიხვია ცხვირსახოცი და მოკლედ ყველაფერი გააკეთა რომ ფუტკარი გაეშვა, და მაშინ გაუცნდა იმ ადამიან უცხლელი სტუდენტ, ინდოელისადმი დადებითი დამოკიდებულება, იმიტომ , რომ მართლა ძალიან ბევრი ქართველი იყო და არავის არ მოსვლია აზრად ფუტკარს დახმარებოდა“ .

ნეგატიურ პასუხებთან ერთად ვლინდება რასისტული და სუბიექტური შეხედულებებიც, რომლებიც მრავლადაა ქართველებში ურთიერთობებსა და დამოკიდებულებებში:

გაუცხოვებელი ურთიერთობა- „*მე და სხვა*“;(მარიამი 21)

რასისტული დამოკიდებულებები: დიდი მნიშვნელობა აქვს საიდან არიან, რომელ ეთნიკურ წრეს ეკუთვნიან, როგორი ფერისანი არიან“ ;(ლაშა 20)

სუბიექტური ურთიერთობები:

პირდაპირი ურთიერთობების სიმწირე- საგულისხმოა, რომ ერთი რესპოდენტსაც არ აღუღნიშნავს უცხოელ სტუდენტთან ახლომეგობრობის ფაქტი;

„ახლომეგობარი ზუსტად ვიცი, რომ ვერ იქნება, იმიტომ რომ ჩემი თავიდან გამომდინარე... ანუ მემყავს ძალიან ცოტახლომეგობარი, რომლებთანაც ვარ გახსნილი. ჩემიანად ვღებულობ და ვსაუბრობ ყველაფერზე. იმათ ვერ მ ივიღებ“

არაპირდაპირი ურთიერთობები - მხოლოდ ფორმალური, საუნივერსიტეტო და დაგეგმილი შეხვედრებით შემოიფარგლებიან

*„ვიმეგობრებ, რამდენიმე ადამიანთან(არგუმენტი: „*ბათუმში გავიცანი, ერთად ვატარებდით საღამოებს, ეხლა სკა იპითეურთიერთობთ*“*

ურთიერთობების ტიპების შემდეგ საინტერესო იყო გაგვერკვია რა არის „ან რა უქმნით უცხოელ სტუდენტებს კომფორტს ან დისკომფორტს? ამ კითხვით ორივე მხარეს მივმართეთ, ჯერ გვანტერესებდა უშუალოდ უცხოელების აზრი, შემდეგ კი ქართველების გადასახედიდან როგორ ჩანს მათთვის შესაძლო დისკომფორტის და კომფორტის შემქმნელი ფაქტორები, რამდენად კორელაციური და შეფარდებითია მათი პასუხები და რამდენად კარგად აღიქვამენ ქართველი სტუდენტები მათ პრობლემებს ქართულ სოციო-კულტურაში

უცხოელი სტუდენტები ამბობენ , რომ მათ მოსწონთ ადამიანების ვიზუალური მხარე, ქეუჩაში ხალხის ყურება, რომელიც დაუსაბუთებელი აღმოჩნდა, თუმცა ერთი თურქი ბიჭი აღნიშნავდა, რომ მას მართლა ძალიან დიდ კომფორტს უქმნის ლამაზი ქართველი გოგოები. როგორც აღმოჩნდა ქართულივიზუალი მათთვის მისაღები და კომფორტულია. ქალტველებსვიზუალური მხარე არც კი გახსენებით, შესაბამისად არც გაჟღერებულა პასუხებში ეს მოსაზრება. დიკომფორტში შედის აწინდიც, მაგრამ რა კონტექსტში არ დაუსახელებიათუცოელ რესპოდენტებს.

თანხვედრაში მოდის საზოგადოების აღქმა ქალტველისსტუდენტების მოსაზრებებთან, რომელიც კომფორტს უქმნის მათ. უცხოელი სტუდენტები დაუსაბუთებლად , მაგრამ მიანც ამბობენ , რომ მათ კომფორტს უქმნის კეთილი ხალხი, ისი ამბობენ რომ ყოველთვის ეხმარებიან გაჭირვებულს, თუ უცებ ცუდად გახდი მეტროში, ყოველთვის აღმოგიჩენენ დახმარებას. ეს პასუხი თანხვედრაში მოვიდა ქართველი სტუდენტების პასუხებთან, ისინი ფიქრობენ რომ მათ კომფორტს შეუქმნის ქართველების გულდიაობა, სტუმართმოყვავიობა, სიკეთე, სხვების ადვილად გაგების უნარი „...უკიდურეს შემთვევაში ნებისმიერის დახმარების უნარი „.

სატრანსპორტო საშუალებებების ხელმისაწვდომობა ორივე მხარის პასუხებში ფიქსირდება, როგორც დიკომფორტის შემქმნელი პირობა . უცხოელი სტუდენტებიც და ქართველი სტუდენტებიც იდენტურად ფიქრობენ, რომ ტრანსპორტის ფასები მათთვის ხელსაყრელი და კომფორტულია.

სამწუხაროდ, მეტი კომფორტის მაგალითი უცხოელ სტუდენტებს არ დაუსახელებიათ, განსხვავებით ქართველი სტუდენტებისგან :

- არაფერი არ უქმნით;(არარგუმენტირებული)
- უნდუსებისთვის _ უსაფრთხოება, საზოგადოების კომფორტიინდოელ გოგოს არემინია, რომ გააუპატიურებენ ;
- დაფინასება მეტი ეროთთ ეროვნულ გამოცდებზე;
- გააჩნია რომელი ქვეყნიდან არის ჩამოსული _ქაიროს მაგალითი, დანაგვიანებული ქუჩები ისეთი ჩვეულებრივია და ყოველდღიური მათთვის, თბილისის სისუფთავე კოფორტს შეუქმნის მათ;
- ლიბერალური კანონებიუნივერსიტეტში
- ლიგამუსი
- დაბალი ფასები საკვებსა და საცხოვრებელზე

- სხვა კულტურის წარმადგენლების ადვილად შემთვისებლობა (არარაგუმენტირებული)
- საზოგადოებრივ-კულტურულ აქტივობებში ჩართულობა (ცეკვის, ფოლკლორისკლუბები სამედიცინოში)
- სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები უცხოელი სტუდენტებისთვის („შეემნათ რაც შეიძლება მეტი კომპორტი.“) (არარაგუმენტირებული შეხედულება)

რაც შეეხება დისკომფორტს, უხოელებისთვის არაკომფორტულია ქუჩაში ნასვამი ხალხი, რომლებიც ყვირიან და ხშირ შემთხვევაში შეურაცხყოფას აყენებენ მათ, ასევე დისკომფორტს იწვევს ხალხის ზედმეტი ყურება, რომელიც არარაგუმენტირებულია და არ არის მაგალითებით გაჯერებული, თუმცა რა საჭიროა მაგალითები, ეს ხომ ისედაც ნათელია, ხშირად იმსახურებენ ისინი საზოგადოების ყურადღებას მათი განსხვავებულობის გამო. არ მოსწონთ და არ აკმაყოფილებთ ინფრასტრუქტურული პირობები: უნივერსიტეტის, რომელიც საკამოდ „ძველია და დანგრეული“, საცხოვრებელი პირობები, ბინები „არ ვარგა, ძველი“.

დანარჩენი პასუხები ჩემი აზრით კორელაციურია ქართველებსი პასუხებთან. უცხოელებსი ამბობენ, რომ სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ქართული სუფრა, სადაც არ იციან, რისი ხორცისგან არ ის მომზადებული კერძები, არც როგორ არის მომზადებული ხორცია, როგორც ისინი იმაბობენ ხორცი უნდა იყოს „ჰელიალი“, რაც სპეციალურ მომზადებას წესებს ექვემდებარება, აკრძალულია მათთვის ცხვირის ხორცი. ქართველეთ სტუდენტებიც მიჩნევენ, რომ მათთვის დისკომფორტი იქნება ქართული სუფრა, და ქართული სუფრის წესები (თამადა, სადღეგრძელოები, დალევა).

ასევე შესაბამისობაში მოდის რელიგიური ფაქტორები. თურქი სტუდენტები დისკომფორტად თვლიან მხოლოდ ერთი მეჩეთის არსებობას, როგორც თვითონ ამბობენ, იმხელა ქალაქი, როგორც თბილისია, მხოლოდ ერთი მეჩეთი არ უნდა იყოს. ქართველი სტუდენტებიც თვლიან რომ მათთვის დიდი დისკომფორტი იქნება რელიგიურ-კულტურული ფაქტორი, როგორ უკვე გამოიკვეთა საკამოდ სესნსიტიური დამოკიდებულება აქვთ რელიგიასთან, ვერ უშვებენ იმას, რომ ბევრი მეჩეთი აშენდეს, ქრისტიანულ სივრცეში. უფროსი ასაკის ხალხთან ურთიერთობა_ მიუხედავად იმისა, რომ უცხოელ სტუდენტებს ამ კითხვაზე ეს პასუხი არ გაუცით, მათი საუბრიდან და მოყვანილი მაგალითებიდან გამოჩნდა რომ, ხშირ შემთხვევაში აგრესია მოდის უფროსი ასაკის ადამიანებისგან, მაგალითად ავტობუსში უფროსი ასაკის ადამიანისთვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდა თურქი სტუდენტების საუბარი თურქულად, რომელმაც უხეშად მიმართა და უყვირა მათ, რატომ არ საუბრობდნენ ქართულ ენაზე საქართველოში. ეს ყველაფერი დისკომფორტს უქმნის მათ, და უხერხულ სიტუაციაში აყენებს. ქართველი სტუდენტებიც ფიქრობენ, რომ უფროსი ასაკის ადამიანები განსაკუთრებით არატოლერანტულები არიან მთლად, ეს მათ მენტალიტეტში ისეა გამჯდარი, რომ ვერც კი ხსნიან რატომ ავლენენ ასეთ დამოკიდებულებას. მეოთხე არსებითი კორელაცია_ ენობრივი ბარიერი. ორივე მხარე თვლის, რომ დიდი დისკომფორტი ენობრივი ბარიერებია, არც ქართველები და რცუცხელი სტუდენტები არ არიან ერთმანეთთან „გამართული საუბრისთვის“ მზად, ძნელია საერთო ენის გამოხატვა, თურქები ისეი მწირი ქართული იციან, ვერ ახერხებენ კომუნიკაციის დამყარებას ქართველებთან, ამიტომაც რჩებიან თავიანთ სოციალურ წრეში(თურქების).

ქართველმა სტუდენტებმა ბევრი მიზეზი და ფაქტორი დაასახელეს რაც დისკომფორტს შეუქმნის უხოელ სტუდენტებს, საოცარია, მაგრამ არცერთ უცხოელ სტუდენტს მოსვლია აზრად მათთვის არსებითი არახელსაყრელი პირობები :

- ქართველები თავს ყველაზე მაგრად თვლიან
- გაუნათლებლობა(არ ვიცით როგორ მოვექცეთ)
- არატოლერანტულობა
- ჩვენი კულტურა, განსხვავებები
- ჩვენმა დამოკიდებულება მშეიძლება შეუქმნას დისკომფორტი (არარაგუმენტირებული)
- გაუნათლებლობა
- ქართველების ხასიათი და ქცევა
- ზიზღი და უხეშობა საზოგადოებისგან (შესაწირში თანხის ჩაგდებისას უხეში მოპყრობა : „ შენ ვინ გეკითხება.“)
- საცობი და მანქანების სიმრავლე ქუჩაში
- უარყოფითი დამოკიდებულება შავკანიანების მიმართ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არსებითი პრობლემა რომელიც დგას უცხოელი სტუდენტებისათვის ეს არის **თანაბარუფლებიანობის პრობლემა**. ანუ რა არის ის ხილული თუ უხილავი შეზღუდვები რომელსაც ქართული საზოგადოება უწესებს უცხოელ სტუდენტებს?

„რა თქმა უნდა საკანონმდებლო და ფორმალური კანონებით უცხოელი სტუდენტებიც ისეთივე უფლებებითსარგებლობენ, როგორც ქართველი სტუდენტები, არსებობს დაუწერელი კანონები“

კველვის ინტერესებში შედიოდა, გაგვეგო როგორ იყვნენ ისინი ჩართულები ჩვენს ტრადიციულ რიტუალაბში, ყოფილან თუ არა ოოდესმე რომელიმე რიტუალზე.რას ფიქრობენ მათი მეგობრები ამ რიტუალებზე.სამწუხაროდ მათ არ იცოდნენ თუ რას ნიშნავს ქართული ტრადიციები და მხოლოდ ძალიან ბევრი ახსნის შემდეგ შეექმნათ ბუნდოვანი ასოციაციები ამ ფენომენის შესახებ, რელიგიური დღესასწაული შობა ტრადიციად აღიქმება მათი მეგობრების მიერ, აქვე იმას ამატებენ , რომ ქართველი ხალხის რელიგიურობა მოსწონთ.ასევე მოსწონთ ქართული სუფრა და კულტურა, მიუხედავად იმისა რომ ბევრ რამეს ვერ ჭამენ, უფრო ის მოსწონთ რომ სუფრაზე სიმღერები და ცეკვები იციან.

- პანაშვიდი
- ეკლესიაში
- ახალი წელი
- ქართული ცეკვების კონცერტზე(სახელწოდება არ ახსოვს).

უცხოელი სტუდენტები შეძლებისდაგვარად ცდილობენ პატივი სცენ მათთვის ახალ ტრადიციებს, თუმცა ამავდროულად თავიანთსაც არ ივიწყებენ. თურქების უმეტესობა ახერხებს მეჩეთში სიარულს, ზოგს ხელი ეშლება, ისინი ამზადებენ ტრადიციულ თურქულ სადილებს სახლში, სვამენ ჩაის , რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვს , ატარებენ თავსაფარს, როგორც მათ აღმსარებლობას შეეფერება.

ჩნდება კითხვა, ხომ არ უქმნიან საფრთხეს მათი ტრადიციული რიტუალების შესურულებით ქართულ კულტურულ ღირებულებებს საფრთხეს? ან შეზღუდვების დაწესება ხომ არ არის საჭირო მათ რიტუალებს? ამ კითხვამ სამი ტიპის საფრთხის არსებობა გამოიკვეთა:

ტერიტორიული საფრთხე:(მათუშში ერთი ქუჩა მთლიანად თურქებმა მიითვისეს

კულტურული : იმათი კულტურის შეთვისების სურვილი (არაარგუმენტირებული)

რელიგიური:

- მეჩეთში წირვის მოსმენამ შეიძლება სხვა რელიგიაზე გადაიყვანოს ქრისტიანი ადამიანი
- არ უნდა მომრავლდეს ინდურ_ბუდისტური რიტუალები, საფრთხეს უქმნის კულტურას და სარწმუნოებისადმი გულგრილ სტუდენტობას.

ამ ყველაფერს ემატება ქსენოფობიის მაღალი განცდა, რაც ნიშნავს გაუცნობიერებელ შიშს ახალი კულტურის მიმართ. კორელაცია კი ორ მხარეს შორის ასეთია:

- **განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის პრობლემა;**ყველაზე სენსიტიური დამოკიდებულებაა რელიგიის მიმართ, ძალიან რადიკალური ხედავს აქვთ ქართულ საზოგადოებას.განსხვავებული აღმსარებლობის ხალხი მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის, ხშირ შემთხვევაში მთავარ ბარიერს რელიგია ქმნის მუსულმან-ბუდისტ სტუდენტებთან ურთიერთობისას, რჯულსემწყნარებლები არ არიან მათ მიმართ, აღიზიანებთ, მოლას ხმა, არ უნდათ ბევრი მეჩეთი არსებობდეს საქართველოში.
- **ქართველების „მიჯაჭვულობა“ წარსულთან და ტრადიციებთან;**ქართული კულტურა ვერ შეითვისებს სხვა კულტურას, უცხოა მათი კულტურული წესები და ტრადიციები ქართველებისთვის.....

კველვის შემდეგი საკითხი ეხებოდა იმას, თუ რამდენად დასაშვებია უცხოელ სტუდენტზე ქორწინება?

ქართველი სტუდენტები

სტუდენტებმა სტუდენტობის აზრი საზოგადოების გადმოსახედიდან ახსნა, „სტუდენტობა იმეორებს საზოგადოების აზრს და დაუშვებელია“;

არ არის დასაშვები მათთვის ქორწინება უცხოელ სტუდენტზე, მითუმეტეს ბუდისტზე და მუსულმანზე , ძირითად დაბრკოლებად რელიგიას ასახელებენ, რომელიც იმხელა უფსკრულს აჩენს მსოფლხედველობაში, რომ დუშვებელია ამაზე ფიქრი.

უცხოელი სტუდენტები

მისაღება (პრობლემას არ წარმოადგენს, ერაყელ სტუდენტს ყავს ქართველი შეყვარებული და მომავალში არაფარს გამოიცხავს);

რელიგიური მრწამსი არ წარმოადგენს დაბრკოლებას (ევროპელებისთვის);

და ბოლოს ყველა ამ პასუხზე დაყრდნობით , საინტერესო იყო ურჩევნენ თუ არა ქართველი სტუდენტები მათ საქართველოში სასწავლებად ჩამოსვლას?პასუხების უმრავლესობას შემდეგი შინაარსი ჰქონდა:

- არ ურჩევდნენ საქართველოს ევროპელს;
- აზიელებისთვის საქართველოში საძლია გერმანიის მსგავსი იყოს;

აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ზუსტად გაგება უცხოელი სტუდენტების შეხედულებებისა , დამოკიდებულებები ქართული საზოგადოებისადმი და სოციო-კულტურისადმი, საინტერესო იყო ნანობენ/არ ნანობენ აქ ჩამოსვლას? გულწრფელები იყვნენ/არ იყვნენ ინტერვიუს დროს. ამ ყველაფრის გადასამოწმებლად მარტივი კითხვა დაისვა: **წამოიდგინეთ, რომ ახლა ტოვებთ მშობლიურ ქვეყანას, ისევ საქართველოზე გააკეთებდით არჩევანს? რატომ?** სამწუხაროდ კითხვაზე პასუხების უმრავლესობა უარყოფითი იყო :

- „არა, იმიტომ რომ რთულია“
- „ბინის საფასურის სიძვირის გამო არა“ (უცხოელ სტუდენტებს ბინის საფასურს ხელოვნურად უზრდიან.)
- „აგრესიული საზოგადოება“ (არგუმენტირებული, ავტობუსის მაგალითი, საშუალო ასაკი)
- „პირობები არ არის“ (არგუმენტირებული: საჭმელი, ტანსაცმელი, პირობები, ბინები)
- „სწავლა რთულია რთულია ქართულად“ (ჯავახიშვილის სტუდენტი)

ნაკლებად მეგობრული ხალხია.

დასკვნა:

კვლავმ ნათლად გასცა პასუხები იმ კითხვებს, რომლებიც შედიოდა კველვის ამოცანებს და მიზნებში.

ამჟამად რომ ინტეგრაციის დაბალი ხარისხია ქართველ სტუდენტებსა და უცხოელ სტუდენტებს შორის, არაფერს ვამბობთ საზოგადოებაზე, რომლებიც რასისტული გამოხატულებებით, აგრესიით, გაკვირვებული თვალებით შესცქერის ქართულ რეალობაში „გა“ -დაბნეულ ფერდაკანიან სტუდენტებს. ასოციაციები, რომლებიც უცხოელ სტუდენტზე უჩნდება ქართულ საზოგადოებას საკმაოდ სტერეოტიპულია და არარგუმენტირებული, გასხვავებით უცხოელი სტუდენტებისგან, მათ არც სტერეოტიპები და არც რაიმე ჩამოყალიბებული მოსაზრება გააჩნდათ საქართველოს სოციო-კულტურაზე. აღიქვს და მიიღეს ისე რეალობა რომელიც რეალურად დახვდათ და შესთავაზა ქართულმა საზოგადოებამ. როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს , აბსოლუტურად,, სტერილური " უცხოელი სტუდენტები ხვალ, როცა თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდებიან , საქართველოზე არჩევანს აგარ გააკეთებენ, რამდენადაც აადვილია საქართველოში სსწავლა, იმდენად რთულია ადმიანებთან ურთიერთობა. დღევანდელი უინტერესოდ, იგივე სოციულაურ წრესთან , იგივე ადამიანებთან ერთად ატარებენ, ისე რომ ვერც კი გაიგეს რაღა რა არის ქართული ტრადიცია ან კულტურა.

ქართული საზოგადოება ქსენოფობიით არის შეპყრობილი, უცხელი სტუდენტების არსებობა ვერ აუტანიათ ქართულ კულტურაში, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს ,საზოგადოების აზრს იმეორებს ქართველის სტუდენტების უმრავლესობაც, მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნის იმიჯიდან გამომდინარე უნდა ავიტანოთ მუსულმანი სტუდენტების მეჩეთში სიარული და მოლას ხმა, სუბიექტურად კი აღიზიანებთ და საზიგადეობს იმაგვარად ისინიც უცხოდ აღიქვამენ უცხოელ სტუდენტებს, მათი ნათქვამიდან კი ჩანს რომ სტუდენტები მაინც ყველაზე თბილად და ადეკვატურად აღვიქვამთ მათ, მაგრამ გაუცხოვება ხომ არ უშლის ხელს მათზე ქორწინებას?

არსებული პრობლემები, რომლებიც დიკომფორტს უქმნის უცხოელ სტუდენტებს , საკმაოდ დაასახელს ქართველმა სტუდენტებმა, თუმცა ამ გრძელი ჩამონათვალიდან მხოლოდ რამდენიმე დისკომფორტის შემქნელი ფაქტორი აღმოჩნდა კოერელციური, ორივე მხარის პასუხებს შორის: სუფრა, რომელიც იმდენად არაჰუმანური და ქართული წესებით მოქმედებს, მხოლოდ მკაცრად რაფინირებული ქართველი თუ შეარულებს რიგ მოთხოვნებს ; რელიგიური შეზღუდვა_ მართლმადიდებელი ქართველები ვერ ეგუებიან, სხვა აღმსარებლობის

ფერადკანიანი სტუდენტების არსებობას ქრისტიანულ სივრცეში, სტუდენტები ცდილობენ ჰუმანურები და გლობალურები იყვნენ, მაგრამ ვერ მალავენ, რომ მოლის ხმა საკმაოდ გამაღიზიანებელია მთთვის.; ნასვამ ხალხთან ურთიერთობა და არანორამლურად ბევრი სამსელის დაღევა არა მარტო, საზოგადოების მხრიდან, არამედ სტუდენტებს მხრიდან. ხშირ შემთხვევაში ნასვამი ადამიანები ვერ მალავენ თავიანთ ნეგატიურ დამოკიდებულებას, და ნათლად გამოხატავენ ამ ყველაფერს; და ბოლოს უფროსი ადამიანების ნეგატიური , უხეში დამოკიდებულება უცხელი სტუდენტებისადმი. კანის ფერი, ჩაცმულობა, ჰიგინა, არა ქართულად საუბარი იმდენად დიდ ზიზღს და პროტესტს იწვევს მათში, დაუფარავად ავლენენ მათ მოთხოვნებს და არსანდომიან დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ადგილებში.

ხშირ შემთხვევაში, ქართველ სტუდენტებს ახლო ურთიერთობა არ აქვთ უცხელ სტუდენტებთან, ეს ორივე მხარის რესპონდენტებმა თანაბრად დაასახელეს. უცხოელების შემთხვევაში პასიურობის მიზეზად ენობრივი ბარიერები სახელდება, ისენი ამბობენ, რომ ქართულის არ ცოდნა აიძულებთ ისევ იმ სოციალურ წრეში იტრიალონ და იმეგობრონ, რომელიც თავიანთი ეროვნების ადამიანებს აერთიენებთ. ენობრივი ბარიერი ქართველმა სტუდენტებმაც ახსენეს, თუმცა მხოლოდ ენაში როდია პრობლემა? რელიგია_ რომელიც იმდენად არაუნივერსალური აღმოჩნდა, თურემ იმდენად ჩარჩოებში აჯენს თავის მრევლეს, რომ _ „გიყვარდეს მოყვასი შენი“ _ მხოლოდ იმ მოყვასებზე ვრცელდება სიყვარული, ურთირთგაგება , რომლებიც ერთი რელიგიური ქოლგის ქვეშ არიან მოქცეულნი, სხვა აღმსარებლობის ხალხისთვის კი ყველა კარი დახურულია. რელიგიურ ფაქტორს კულტურული ფაქტორიც ემატება, რომელიც მიჯნავს ქართულ კულტურას _ზიური კულტურიგან, მკვეთრად გამოიკვეთა, რომ მხოლოდ ქართული კულტურა მისაღები საზოგადოებისთვის და არავითარ შემთხვევაში აღმოსავლური, თურქული ან ბუდისტური.

საინტერესოა, როგორ ხედავენ ამ ყველაფრის გათვალისწინებით უცხოელი სტუდენტები ქართულ რეალობას? თუ მათ პასუხებს დავეყრდნობით, პოზიტიური პასუხები , რომლებიც დადებითად ახასიათებს ჩვენს კულტურას, რელიგიას, საზოგადოებას, იმდენად არარგუმენტრებიული და დაუსაბუთებელია, ხშირად ამბივალენტურიც, ვერ ჩაითვლება ვალიდურ შეხედულებად. უარყოფითი აღქმის და დამოკიდებულების აღსაწერად კი, მაგალითები უხვად უჩნდებათ. ძალიან ცოტა ქვეყანაში თუ გამვლიდება ბაზრის ფენომენი, სადაც იმდენად დისკრიმინაციული „გამყიდველები“ ემსახურებიან საზოგადოებას,როგორც ჩანს პროდუქტი მხოლოდ თეთრკანიანი მომხმარებლებისთვის არსებობს. ან რამდენად ცარიელიც არ უნდა იყოს ტრანსპორტი, უცხოელი სტუდენტისთვის ადგილი მუდამ არ არის , აქვე შეუძლება კონტორლიურმა ხელი უხეშად დაარტყას დიდი ზურგჩანთაზე და მიაბახოს_, „ ნიგერიელო წაეთრე შენს სახლში“.

პროექციული ტექნიკის გამოყენება ფოკუს ჯგუფებში, კერძოდ, ღრუბლიანი ნახატები კი ნამდვილად მამხილებელია ქართული საზოგადოების და სტუდენტების დამოკიდებულების და აღქმის. ძირითადად უხეში მოსაზრებებით და კომენტარებით დახუნძლული ქართული საზოგადოება კვლავ არგრძელებს ცხოვრებას უცხლე სტუდენტებთან ერთად. საინტერესოა შეუცვლება თუ არა სტატისტიკა მომდენვნო წლებში, და კვლავ აქტუალური იქნება თუ არა ჩვენი კვლევა.